20.04.2018

## *იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში*
## *2018 წლის მარტი*

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 8,3 პროცენტიანი ზრდა.

წლიურ პერიოდში ფასები 47,3 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე, ხოლო 9,0 პროცენტით გაიზარდა ფასები დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. რაც შეეხება სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფს, დაფიქსირდა ფასების 1,8 პროცენტიანი ზრდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მარტში იმპორტის ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2017 წლის მარტთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **108.3** | **8.34** |
| C | **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **101.8** | **0.15** |
| D | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **109.0** | **7.97** |
| DF | კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი | 115.8 | 2.05 |
| DK | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 116.0 | 1.42 |
| E | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **147.3** | **0.22** |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

*იმპორტის ფასების ინდექსი*
*(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)*




საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge